

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

არჩილ გამზარდია

Archil Gamzardia

„ძალაუფლების კონსტრუირების პრინციპები 2000-იანი წლების  
შემდგომ საქართველოში“

"Principles of Building Power in Georgia after the 2000s"

საგანმანათლებლო პროგრამა: პოლიტიკური ფილოსოფია

Educational program: Political Philosophy

დისერტაცია წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2024

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

არჩილ გამზარდია

„ძალაუფლების კონსტრუირების პრინციპები 2000-იანი წლების  
შემდგომ საქართველოში“

საგანმანათლებლო პროგრამა: პოლიტიკური ფილოსოფია

დისერტაცია წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

## გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

მიხეილ გოგატიშვილი

ფილოსოფიის დოქტორი,

პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება  
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა  
და პოლიტიკის სკოლის საატესტაციო - საექსპერტო  
კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ  
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა ენუქიძის №3  
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

შესავალი ..... 4

- საკვლევი პრობლემატიკა და მისი კვლევის აქტუალობა/მნიშვნელობა ..... 4
- კვლევის მიზანი და ამოცანები ..... 6
- ჰიპოთეზა ..... 7

სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

და კვლევის თეორიული კონტექსტი ..... 8

კვლევის მეთოდოლოგია და აღწერა ..... 10

კვლევის შედეგები ..... 11

განსჯა და მეცნიერული მიგნებები ..... 13

დასკვნა და რეკომენდაციები ..... 17

## შესავალი

### საკვლევი პრობლემატიკა და მისი კვლევის აქტუალობა/მნიშვნელობა

მოცემული სადოქტორო კვლევა საქართველოს შეისწავლის, როგორც პოსტოტალიტარული-პოსტსაბჭოური ქვეყნის ძალაუფლების კონსტრუირების პრინციპებს 2000-იანების შემდგომ პერიოდში - ძალაუფლების თვისობრიობას, შინაარსს, მოდიფიკაციასა და ფუნდამენტურ ცნებების პერსპექტივებს, იმ კონტექსტში, როდესაც სახელმწიფოს მმართველობა შეფასებულია ჰიბრიდული დემოკრატიის რეჟიმად და დეკლარირებული აქვს ჩრდილო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია.

ამ ფონზე, მნიშვნელობას იძენს არსებული ძალაუფლებისა და ძალაუფლებითი წინაპირობების კონსტრუქციის არქიტექტურის შესწავლა და გადაანალიზება, პოლიტიკური ქცევების ფენომენების შესწავლა და პოლიტიკური ფილოსოფიის თეორიების იდეოლოგიური კონსტრუქტების დადგენა, პოლიტიკურ-თეოლოგიური ანალიზი ძალაუფლების კონსტრუირების პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს პოლიტიკური ხელისუფლებების თეორიისა და იდეოლოგიური დისკურსების ანალიზს, სადაც თანამედროვე მმართველი რეჟიმებია გადააზრებული და წარმოდგენილია მიზანი-მიგნებულ იქნას შესაბამისი კონცეფციის ფორმულირება, რომელიც განვითარებადი ქვეყნების მმართველობ(ებ)ისა და ძალაუფლების კონვერსიას მოახერხებს, რა დროსაც ძალაუფლების ფუნქციური ცვლისათვის შესაბამისი მნიშვნელობის მინიჭება მოხერხდება.

სადისერტაციო ნაშრომი ცდილობს 2000-2023 წლებისათვის საქართველოს სამალაუფლებო კონსტრუირების არქიტექტურისა და პერსპექტივის განსაზღვრას.

მოცემული თემა აქტუალურია იმით, რომ დღევანდელი საქართველოს საძალაუფლებო სისტემა დამოუკიდებლობის აღდგენიდან (1991) მუდმივად განიხილება, როგორც დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ერთობლიობა. დამოუკიდებლობის აღდგენიდან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა ცვლილებაზე ბუნებრივად ორიენტირებული პოლიტიკური ძალაუფლების მმართველობის მიღწევა ბუნებრივად რევოლუციური ცვლილების ან გარე ძალების ჩართულობის გარეშე; პოლიტიკური ძალაუფლების ფენომენში, დღემდე აქტუალურად არის ჩართული დამატებითი ზეგავლენის სივრცეები, რომლებსაც ქმნიან არაუფლებამოსილი საძალაუფლო სუბიექტები.

ძალაუფლებაში სამოქალაქო თანამონაწილეობის ფაქტორი მეტად პირობითი და სიმბოლურიც ხდება, რაც ფორმალიზმისა და დეკლარირებული წესების შესრულებით გამოწვეულ ერთგვარ ილუზიას განაპირობებს. მოქალაქე აკეთებს რა არჩევანს, იქნება ეს პოლიტიკურ არჩევნებში თანამონაწილეობა თუ სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის მხარდაჭერა ან წინააღმდეგობა, ყალბი ნების კონსტრუირების მოდიფიცირებაზეა აგებული. ამ და სხვა გარემო ფაქტორების ერთობლიობით კი იქმნება ნებაყოფლობითი მორჩილებისა და შემდგომ მისგან გამომდინარე ურთიერთწინააღმდეგობრივი გამოვლინებებით გამოწვეული კონფლიქტი.

ნებელობითი მორჩილების კონტექსტი, ძალაუფლებაში არაუფლებამოსილი, ადამიანების ცნობიერ-გრძნობით ფაქტორებზე მანიპულაციური სისტემები ქმნის ბელადიზმისკენ, ტოტალიტარული ლიდერისკენ ერთგვარ არაცნობიერ სწრაფვას, რომელიც მენტალური ტოტალიტარის და შესაძლოა, მმართველი ტოტალიტარის მოთხოვნის სინდრომშია გამოხატული. ამ დისკურსშია გამოხატული პოლიტიკური ძალაუფლების თეორიები და იდეოლოგიურ-ფილოსოფიური პოლიტიკური დოქტრინები.

საზოგადოებრივი ურთიერთობები და დამოკიდებულებები ქმნის პოსტტოტალიტარული საქართველოსთვის კვლავ პრეტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნის რისკებს, სადაც წინაპირობის სახით პრეზენტირდება კონკურენტული ავტორიტარიზმის, ტრანსფორმირებადი დიქტატის და ვარიაციული ტოტალიტარიზმის ქმნადობის სინდრომი.

მოცემული სადისერტაციო ნაშრომი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ სხვა, პოსტტოტალიტარული, მათ შორის პოსტსაბჭოური სახელმწიფოებისთვისაც. ქვეყნები, რომლებიც დღეს იკავებენ ავტორიტარული რეჟიმის ან ჰიბრიდული რეჟიმის საზღვრებს მმართველობითი ძალაუფლების შეფასებისას.

### **კვლევის მიზანი და ამოცანები**

#### **კვლევის მიზნები:**

- სადისერტაციო კვლევის მიზანია 2000-2022 წლის საქართველოში ძალაუფლების ფორმაციისა და პრეგნანტული ასპექტის დადგენა.
- ძალაუფლების კონსტრუირების პრინციპების კვლევა და პოზიტიური პერსპექტივის ალგორითმის შემუშავება.

#### **კვლევის ამოცანები:**

- 2000-იანების შემდგომი საქართველოს ძალაუფლების კონსტრუირების პოლიტიკურ-ფილოსოფიური საზრისების დადგენა და იდეოლოგიური ანალიზი.
- პოლიტიკურ-თეოლოგიური პროექტების მიგნება.
- დისკურსული პრაქტიკების ანალიზი პოლიტიკური თეორიით ნაწარმოებ პოლიტიკურ იდეოლოგიებში.
- ეგზისტენციალური შეტყობინებების განსაზღვრა პოლიტიკური ფენომენების კონტექსტში.

- ძალაუფლების მდგომარეობისა და მიდრეკილების, დინამიკის შეფასება 2000-2023 წლების საქართველოში.
- საძალაუფლო დისპოზიციისა და ცნების შესწავლა XXI საუკუნის 30-იანი წლებისათვის საქართველოში, მათ შორის რელიგიური ასპექტების და საეკლესიო ძალაუფლების როლის ვერიფიცირება.
- საქართველოს საძალაუფლებო სისტემაში დიქტატურის, ავტორიტარიზმის, ტოტალიტარიზმის ვარიაციული შესწავლა, შესაძლო მოდიფიცირებისა და მოტივების განსაზღვრა.
- მოქალაქის - ამომრჩევლის ჩართულობის, ნების, თვითმყოფადობის, თავისუფლების და მასზე ზეგამვლენი კონვერგენციული ფაქტორების დიფერენცირება.
- პოლიტიკური სუბიექტების ძალაუფლებაში მოსვლის შესაძლებლობების, ძალაუფლების შენარჩუნების ან კარგვის პირობების კორელაციის დადგენა.
- პოლიტიკური პოლარიზაციის გამომწვევი მიზეზების და დეპოლარიზაციის ასპექტის შესწავლა.
- ემპირიასა და თეორიის ჰარმონიზების პროცესით თანამედროვე საქართველოს ძალაუფლების იმ თავისებურებების შესწავლა, რომლებიც აქამდე არსებულ თეორიულ ცნებებს, საერთაშორისო გამოცდილებას ძალაუფლების თეორიული კონსტრუქტების კონტექსტში საქართველოს თავისებურებებს აკავშირებს.

### ჰიპოთეზა

2000-იანი წლების შემდგომ, საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლების კონსტრუირება არ მოიცავს მხოლოდ პოლიტიკურ თუ სამოქალაქო აქტორებს და ძალაუფლების განხორციელებაში ასიმილირებულია საეკლესიო ხელისუფლება, როგორც ძალაუფლების გარკვეული კვინტესენცია.



კვლევის დაშვებით, 2022 წლისთვის, საქართველოში, ძალაუფლება კონსტრუირებულია ჰიბრიდული დემოკრატიის ფორმატში რეპრეზინტირებული კონკურენტული ავტორიტარიზმის, ტრანსფორმირებადი დიქტატისა და ტოტალიტარიზმისკენ სწრაფვის დინამიკის სახით, სადაც ძალაუფლებითი მახასიათებლები ტრანსფორმაციულად დისპოზიცირებულია.

### **სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი**

მოცემული სადოქტორო კვლევა საქართველოს შეისწავლის, როგორც პოსტტოტალიტარული-პოსტსაბჭოური ქვეყნის ძალაუფლების კონსტრუირების პრინციპებს 2000-იანების შემდგომ პერიოდში - ძალაუფლების თვისობრიობას, შინაარსს, მოდიფიკაციასა და ფუნდამენტური ცნებების პერსპექტივებს, იმ კონტექსტში, როდესაც სახელმწიფოს მმართველობა შეფასებულია ჰიბრიდული დემოკრატიის რეჟიმად და დეკლარირებული აქვს ჩრდილო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია.

ამ ფონზე, მნიშვნელობას იძენს არსებული ძალაუფლებისა და ძალაუფლებითი წინაპირობების კონსტრუქციის არქიტექტურის შესწავლა და გადაანალიზება, პოლიტიკური ქცევების ფენომენების შესწავლა და პოლიტიკური ფილოსოფიის თეორიების იდეოლოგიური კონსტრუქტების დადგენა, პოლიტიკურ-თეოლოგიური ანალიზი ძალაუფლების კონსტრუირების პროცესში. ნაშრომში წარმოდგენილია კარლ შმიტის და ლეო შტრაუსის შეხედულებების თეორიული ინტერპრეტაციები.

პოლიტიკური ფილოსოფიისა და პოლიტიკური თეორიის იდეოლოგიური დისკურსების და დისკურსული პრაქტიკების ანალიზთან ერთად, ნაშრომში ყურადღება ექცევა იმასაც, რომ

პოსტმოდერნისტულ ეპოქაში მნიშვნელოვანია რეალპოლიტიკის გაგება და რეალპოლიტიკის ამოცანების გაანალიზება, რაც წარმოდგენილია ჯინ შარპის ნაშრომების განხილვით, ასევე წარმოდგენილია ჩარლზ რაით მილსის თეორიულ პოსტულატები, სადაც მოცემულია თანამედროვე სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ძალაუფლებ(ებ)ის ელიტების გადანაწილების ფორმაცია, თანამედროვე სახელმწიფოში ძალაუფლების ბუნება და მისი არქიტექტონიკა.

ძალაუფლების გადაანალიზებისას, მნიშვნელოვანი წილი უკავია ჰანა არენდტისეულ და სხვა მეცნიერების შეხედულებებსა და თეორიებს, სადაც თავს იჩენს აქამდე არსებული შეხედულებების გადააზრების საჭიროება, მათ შორის, თანამედროვე დიქტატურის, ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის მიმართ, რაც ნაშრომისთვის ფუნდამენტურ რაკურსს ქმნის საქართველოს მოდელზე თანამედროვე ძალაუფლების გაცნობიერებისა და შეფასებისათვის.

ნაშრომში წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურა მოიცავს ოთხ ძირითად ნაწილს, პირველი ნაწილი შეეხება პოლიტიკური ფილოსოფიის და თეოლოგიის ამოცანას ძალაუფლების კონსტრუირების კონცეფციის დახასიათებისას, სადაც განხილულია ლეო შტრაუსის, კარლ შმიტის, ჯონ როულსის და სხვა ავტორთა შეხედულებები. მეორე ნაწილი მოიცავს ძალაუფალი ელიტიზმის განხილვას ჩარლზ რაით მილსის მიხედვით. მესამე ნაწილში წარმოდგენილია ძალაუფლების თანამედროვე გააზრების ცნებები არენდტის, გრამშის და შარპის მიხედვით, მისი თემატიკა კი აგებულია ძალადობის, თანხმობის, ნებისა თუ მორჩილების ცნებებზე, ხოლო მეოთხე ნაწილში განხილულია გზა ტოტალიტარიზმისკენ მაქს ვებერისა და რომანო გვარდინის მიხედვით, კერძოდ მხსნელის ცნება და რელიგიური ძალაუფლების ასპექტი.

## კვლევის მეთოდოლოგია და აღწერა

მოცემულ კვლევაში შერეული კვლევის სტრატეგიას მივმართე. ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიისათვის მივმართე თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევას. რაოდენობრივი კვლევისათვის გამოვიყენე მეორეული დოკუმენტების ანალიზი, ხოლო თვისებრივისათვის, სადისერტაციო კვლევის მიზნებისა და ამოცანების მიხედვით, გამოვიყენე კომპარატივისტული მეთოდი, რომლის მიხედვითაც ძალაუფლების კონსტრუირებასთან და შეფასებებებთან დაკავშირებით სხვადასხვა თეორიის შედარებითი ანალიზი ვაწარმოე თეორიული ინტერპრეტაციისათვის, ასევე მივმართე სიღრმისეულ ექსპერტულ ინტერვიუებს, გამომადგა ტრიანგულაციური მიდგომა (სხვადასხვა შერეული მეთოდის ერთდროული გამოყენება).

კვლევისათვის მნიშვნელოვანი გახდა ასევე არასამეცნიერო წყაროები მეორადი მონაცემების სახით - პრესა, ტელე და რადიომაუწყებლობა, ინტერნეტ გამოცემები და ელექტრონული ბიბლიოთეკა, სოციალური მედია, სამეცნიერო ჟურნალები. რაოდენობრივი მონაცემების მისაღებად მივმართე სახელმწიფოში არსებული მონიტორინგის სხვადასხვა ჯგუფების მეორეულ მონაცემებს-სოციოლოგიურ გამოკითხვებს, ეკვიტპოლების მონაცემებს საარჩევნოდ და ა.შ.

არსებული მასალების სისტემური შესწავლითა და ინტერპრეტაციის საშუალებით გავეცანი სხვების აღმოჩენებს. ის დამეხმარა მეთოდებისა და მონაცემების იდენტიფიცირებაში, რომლებიც სხვებს კონკრეტული საკითხების ახსნისათვის გამოუყენებიათ და ა.შ.

პროცესების, ჩემს მიერ წარმოდგენილი ცვლადების და შედეგების კონტექსტის გასააზრებლად, ეფექტური გამოდგა სიღრმისეული ინტერვიუები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, პოლიტოლოგებთან, თეოლოგებთან, სასულიერო პირებთან, ისტორიკოსებთან, პოლიტიკოსებთან, ასევე აკადემიური

წრების წარმომადგენლებთან (20 ინტერვიუ). რესპონდენტებთან საუბრის დროს, ჩამოყალიბებული კითხვების სტრუქტურა იყო მოქნილი, შესაძლებელი იყო საუბრის ძირითადი თემიდან დამაკავშირებელ სხვა თემატიკაზე გადასვლა. ამან შესაძლებლობა მომცა რესპონდენტების შეხედულებების, პოზიციების, შეფასების უფრო ფართო სპექტრი აღმეჭვა და წარმომედგინა.

### კვლევის შედეგები

საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ძალაუფლებაზე ზეგავლენის კონტექსტი კვლევაში ჩართულ ექსპერტებში განსხვავებულია. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი აქცენტირებს ხელისუფლებ(ებ)ის მიმართ ეკლესიის უპირატეს ზეგავლენაზე.

- ✓ სასულიერო დასი შეთანხმებულ პოზიციებს ავლენს მთელ რიგ შემთხვევებში ხელისუფლების პოზიციებთან მიმართებაში, მაგალითად, როდესაც საკითხი ეხება სახელმწიფოს დეკლარირებულ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, ადამიანის უფლებების წინააღმდეგ განხორციელებულ შეტევებს თუ სხვა თემებს.
- ✓ განიხილება ეკლესიის მხრიდან ხელისუფლებაზე ზეგავლენის პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენები.
- ✓ ეკლესია ვლინდება ლეგიტიმაციის განმსაზღვრელ ინსტიტუციადაც, რომელსაც აქვს ხელისუფლების პოლიტიკური ლეგიტიმაციის რესურსი.
- ✓ ბოლო პერიოდში ეკლესიის ხელისუფლებაზე ზეგავლენის კლების ტენდენცია შეინიშნება. საქართველოს ხელისუფლებები ეკლესიის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევისა და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობს.
- ✓ ეკლესია და ხელისუფლება იყოფენ ძალაუფლებას და პერიოდულად მათ შორის კონფლიქტები ჩნდება ძალაუფლების ხარისხის რევიზიისათვის.

ხელისუფლება ანგარიშს უწევს ეკლესიის პოზიციას, მაგრამ საბოლოო ჯამში კარგად იყენებს მსგავს მხარდაჭერას.

კვლევა აჩვენებს, რომ ავტორიტარიზმი ქართველი კაცისათვის ჯერაც ბუნებრივ მდგომარეობად რჩება.

- ✓ ფიქსირდება სახელმწიფოში ღირებულებითი და ფასეულობითი რესურსების სიმწირე, რის გამოც 30 წლის მანძილზე ვერ მოხერხდა საერო ღირებულებების ისეთი სისტემების შექმნა, რომელიც კონკურენციას გაუწევდნენ ეკლესიის ოფიციალურ რელიგიურ „იდეოლოგიას“, ამიტომ ეკლესია რჩება იდეოლოგიურ დონეზე უკონკურენტოდ.
- ✓ ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი მმართველი პარტია (ხელისუფლება) წარმატებული იქნება მხოლოდ ავტორიტარიზმის პირობებში. თანასწორობა, თავისუფლება, კანონის უზენაესობა და დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სხვა პრინციპები ვერ არის მის მართვასთან თავსებადი. იგივე ეხება ეკლესიასაც, რომელიც ისტორიულად ყოველთვის პრეტენზიას აცხადებდა აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე, რაც ავტომატურად გამორიცხავს პლურალიზმს.
- ✓ დასავლური ტიპის დემოკრატია დღევანდელი ხელისუფლებისათვის დამღუპველად მოჩანს, ის ბუნებრივად ხდება მოკავშირე ისეთი ინსტიტუტისთვის, რომელიც ასევე განიხილავს დასავლეთს მტრად და რუსეთს არაპირდაპირ აღიარებს საკუთარ მოკავშირედ.

ვლინდება ორი ძირითადი ასპექტი - ავტორიტარიზმისკენ და ტოტალიტარიზმისკენ მიდრეკილება.

- ✓ იკვეთება ტოტალიტარიზმისათვის არსობრივი განაწილების ფენომენი - ლიდერები, რომლებმაც იციან

გზა და ხალხი, რომლებმაც არაფერი არ იციან და რომლებიც ამიტომ აუცილებლად საჭიროებენ ლიდერებს.

- ✓ მოქალაქეები მიდრეკილები არიან უარყონ საკუთარი თავისუფლება, უფრო კომფორტული მორჩილების სანაცვლოდ. რაც უფრო ნაკლები სურვილი აქვთ „რიგით“ ადამიანებს, რომ თავისუფლები იყვნენ, მით უფრო მაღალია მათ მიერ მთავრობის და მისი გაგრძელების, ეკლესიის, მხარდაჭერა.
- ✓ ხელისუფლებისადმი მორჩილების დღევანდელი ვითარება ეფუძნება მშვიდი ალტერნატივის არ ქონას და „აგრესიული ოპოზიცია“ აღიქმება, როგორც ძნელბედობისა და ცუდი ჟამის შემოქმედი. შესაბამისად, ადამიანებს ურჩევნიათ ეს მონოტონური პროცესი ვიდრე გაურკვეველი და სახიფათო მომავალი.

### **განსჯა და მეცნიერული მიგნებები**

პოლიტიკური პრობლემის კონტექსტში წარმოსდგება ძალაუფლების ცენტრები, მათი ურთიერთმიმართება და ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, აიხსნას ძალაუფლების ცენტრების პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური საგნებისა და იდეოლოგიების კრიტიკული ანალიზი, რა მართავს თითოეული მათგანის ქცევას.

დიქტატის (ტრანსფორმირებადი დიქტატის ცნება) ავტოკრატიისა (კონკურენტული ავტორიტარიზმის ცნება), და ტოტალიტარიზმის კონტექსტი აჩვენებს, თუ რისკენ მიილტვის ჩვენს ქვეყანაში დღემდე ძალაუფლებრივი ელიტა, სადაც ძალაუფლებების ერთგვარი მოტივია მასობრივი სამოქალაქო ცნობიერების მოწყვლადი შინაარსი შექმნას, რომელიც თავისთავად, პასუხისმგებლობებსა და თავისუფლებას კი არ ესწრაფვის, არამედ კმაყოფილდება იმით, რომ ჰგონია თავი თავისუფალი, არქმევენ მას თავისუფალს. ადვილად მართავდი ცნობიერება და ნების იმიტირებულობა კი ხელს უშლის

თავისუფალი საზოგადოების შექმნას და შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფოს იდეის ნომინალურ რეალიზაციას.

დღეს არსებობს არაერთი თანამედროვე პოლიტიკური ფორმაცია, როდესაც დიქტატი ინიღბება და დიქტატის არაპირდაპირ გამოხატულებებს ავლენს, რომლის ძალაუფლებითი ცნება ანალოგიურია, როგორც ღია დიქტატისას, თუმცა, ფორმალური და ინსტრუმენტული კონტექსტია მნიშვნელოვნად შეცვლილი, რაც ამგვარ დიქტატურას ბევრად შენიღბულს ხდის.

- მნიშვნელოვნად გაიზარდა ტოტალიტარული სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები.
- კომპრომატებისა და ჩანაწერების მიღმა, სოციალურ მედიაში მკვეთრად გააქტიურდა დისკრედიტაციული კამპანიები, მიზნობრივი ობიექტების მიმართ ცრუ (ე.წ. ფეიკ) ინფორმაცია, მანიპულაცია ან ინტერპრეტაცია. პროცესმა მოიცილა დიდი ნაწილი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანებისა, საზოგადოებრივი ფორმაციების წარმომადგენლებისა.
- დისკრედიტაციული კამპანიები, მოსახლეობის ცნობიერების სისუსტით მანიპულირება, არაპირდაპირი ზეწოლა, კანონებით მანიპულირება და ა.შ. თანამედროვე დიქტატის კონცეფციას წარმოადგენს ზეწოლის ფორმებიც და ზეწოლის განმახორციელებლები, განსაკუთრებით, არაპირდაპირ დონეზე.
- დიქტატის თანამედროვე გამოვლინებას ერთგვარი პროცედურული დემოკრატიის ფორმაც აქვს, მაგრამ არსის ესაა, რომ ის (დიქტატი) შენიღბულია ფორმით, მაგრამ შინაარსის კონცეპტუალურ დონეზე მოცემულობა არ იცვლება.
- თუ დიქტატის ტრადიციულ გააზრებაში არ არსებობს ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ჯგუფები, დიქტატის თანამედროვე ვერსიაში შეგვიძლია

ვისაუბროთ ხელისუფლებგან დამოუკიდებელი ჯგუფების არსებობაზე, რომლებიც, მართალია, არსებობენ, თუმცა ისინი ნაკლებად ან არაეფექტურია, არ თანამონაწილეობს ძალაუფლებაში და ზეგავლენა ხელისუფლებაზე პრაქტიკულად არ გააჩნიათ.

- განსხვავებული პოლიტიკური ეპოქის და სივრცის შესაბამისობით, 2022 წლისთვის, ძირითადი ოპოზიციური ძალები, საქართველოშიც კმნიდნენ სხვადასხვა ტიპის ჯგუფებს, რომლებიც ხელისუფლებისგან დამოუკიდებლები იყვნენ, მაგალითად, ანტიკორუფციული მიმართულებებით, მედია და სხვა ტიპის უფლებადაცვითი მიმართულებებით, ამ ორგანიზაციების საქმიანობით მედიაში დრო და დრო მართლაც ხერხდებოდა გარკვეული ხმაურის თუ სახელისუფლები დისკომფორტის შექმნა, თუმცა, ეს ორგანიზაციები ან იყვნენ ან აფილირდებოდნენ ყოფილ მმართველ პარტიასთან და შესაძლებელი ხდებოდა სახელისუფლები პროპაგანდის წარმოება მათი დისკრედიტაციის მიზნით ან მათი ნაკლებ ეფექტიანობის მიღწევით.
- ოპოზიციური პოლიტიკური აქტორები ნაკლებად ცდილობენ გააზრებულ კომუნიკაციას და უფრო მყისიერად მოქმედებენ, მაშინ როდესაც სახელისუფლებო პოლიტიკა, როგორც მმართველი პოლიტიკური სუბიექტის პოლიტიკა უფრო დაგეგმვითი ხასიათისაა და გარემოს ნეგატიური უკუკავშირის მიმართ მეტად ადაპტირებადი, ძირითადად სტრატეგიულად გააზრებული პოლიტიკური მდგრადობის მიმართ რისკების კუთხით, საშუალო ან მინიმალური იმპროვიზაციის ჩართვით.
- 2022 წლის საქართველოს ძალაუფლებაში თანამედროვე ტოტალიტარიზმი აღიარებული ჩრდილოვანი მმართველობა ძლიერი ლიდერის - ერთგვარი ბელადის ნაირსახეობის სახით არის წარმოდგენილი. მასზე



დაშენებული სახელისუფლებო ვერტიკალი-საკანონმდებლო ხელისუფლება, აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო ხელისუფლება, იმიტაციური თავისუფლება, (რაც ავტოკრატიზმს ახასიათებს), ასევე საინტერესოა ტოტალიტარიზმის შექმნის ფაქტორები, ორგანიზაციები, რომლებიც აღიარებულად ჩრდილოვან მმართველს ახასიათებს.

ძალაუფლებით ელიტაში წარმოდგენილია ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ელიტის ახალ სახეობად. ამის ინდიკატორებია საეკლესიო ელიტის ავტორიტეტი და სანდოობა, საეკლესიო ელიტის მონოპოლია, საეკლესიო ელიტის ისტორიული კონტექსტი, საეკლესიო ელიტის ინფორმირებულობის კონტექსტი, საეკლესიო ელიტის ლიდერების მუდმივობა (გრძელვადიანობა), საეკლესიო ელიტის ინსტიტუციური და წარმომადგენლობითობის მდგრადობა და ა.შ.

საქართველოს მმართველი ლიდერების მმართველობის ძირითადი ტენდენციების კვლევა აჩვენებს, რომ მმართველი ელიტები, ერთი მხრივ, ძალაუფლების გადანაწილების და კონკურენციის „ომში“ არიან ეკლესიასთან, მეორე მხრივ კი საერო მმართველები ვერ ქმნიან სათანადო ნდობას მოქალაქეებში და მომგებიანობის, პოლიტიკური პერსპექტივის თუ ძალაუფლების მდგრადობის მიზნით, დაქვემდებარებულ პოზიციაში უფრო აღმოჩნდებიან ხოლმე სასულიერო იერარქიასთან.

საეკლესიო ძალაუფლებით განპირობებული სახელისუფლებო პოლიტიკური თეორია საქართველოში, ასევე გულისხმობს 2023 წლისთვის ნაციონალიზმის თეორიული პოლიტიკური დისკურსის წარმართვას. ძალაუფლების კონსტრუირების პრინციპი აგებულია ნაციონალიზმის თეორიულ პოლიტიკურ დისკურსზე, სადაც ეგზისტენციალური ინფორმაციის ფუნქციას იძენს „ერის“ ცნება, სადაც, ჩვეულებრივ, ნაციონალური უპირატესობისა და განსაკუთრებულობის იდეა ხდება განმსაზღვრელი, სადაც „ქართველობის“ ნაციონალობის თემა,

საეკლესიო და სახელისუფლებო დისკურსებში, წარმოდგენილია როგორც თვითკმარი სუვერენული ძალა, რომელსაც მისტიკური ხასიათი აქვს, პერმანენტულად და ინტენსიურად ჩნდება თანაბარი დისკურსული პრაქტიკები მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ და საეკლესიო იერარქების შეტყობინებებში.

2000-2023 წლების საქართველოში ტოტალიტარიზმის კერები და ტოტალიტარიზმისკენ სწრაფვა აქტიურია ტოტალიტარიზმის იმ გააზრებით, რაზეც თანამედროვე ტოტალიტარიტარიზმის შინაარსის მსჯელობისას ნაშრომშია საუბარი სხვადასხვა თეორეტიკოსის ნააზრევზე დაყრდნობით.

საქართველოს პოლიტიკური ფენომენების ახსნა გულისხმობს სწორედ ღირებულებათა სისტემების გაუფასურების შედეგი, როდესაც ერთი მხრივ ძალაუფალი ელიტების მიდრეკილება ფიქსირდება ლამის მონარქიული ცნების შექმნისაკენ, რაც თანამედროვეობაში ავტორიტარიზმის, ტოტალიტარიტარიზმისა და დიქტატის ტრანსფორმაციული შინაარსობრივი კონსტრუქტების მიგნება-რეალიზაციის ძალისხმევაში ვლინდება, მეორე მხრივ სახეზეა პოლიტიკურ-თეოლოგიური კონსტრუქტების მოდერნიზების ძალისხმევა საეკლესიო ელიტების მხრიდან, საერთო სურათი კი პოლიტიკურ და თეოკრატიულ ძალაუფლებითი შრეების პარტნიორობა-კონფლიქტის არქიტექტონიკის კონცეპტუალური ნაირსახეობით ვლინდება.

### **დასკვნა და რეკომენდაციები**

1. 2000-იანი წლებიდან დღემდე, ძალაუფლების კონსტრუირებისას, არჩევანი და გადაწყვეტილების საფუძველი თვითქმნადი და თვითმართვადი საკუთარი ნება ჩანს, რომელიც საკუთარ თავისუფალ და დამოუკიდებელ გადაწყვეტად მიაჩნია საზოგადოებას, სინამდვილეში კი შექმნილი იმიტაციურობა-ნებელობის მოდიფიკაცია ხორციელდება („მოლეკულური თეორია“ -

ანტონიო გრამში). უფრო გვიან, ადამიანები გამოდიან თვითილუზორულობის კომფორტის ზონიდან და საკუთარი არჩევანისადმი ბრძოლა უწყევთ, რაც გამოიხატება ხელისუფლებების მიმართ აგრესიასა და პოსტსაბჭოურ წინააღმდეგობაში. დაბალი სამოქალაქო ცნობიერების გამო, ძალაუფლების ცენტრები „მოლექულური თეორიის“ პროპაგანდისტულ ბუნებაზე აგებენ პოლიტიკურ თეორიებს ამომრჩევლების ცნობიერების მანიპულაციის გზით.

2. ხელისუფლების პოლიტიკური ქმედებები გამოხატულია ეგზისტენციალურ ინფორმაციაში შეტყობინებების სახით. ეგზისტენტების კონტექსტში, პოლიტიკური ჯგუფები რეჟიმულ მმართველობებს ასახელებენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე.
3. საძალაუფლებო დიქტატი, ხელისუფლების პოლიტიკურ თეორიაში, დროთა განმავლობაში სახემცვლილია. თუ დიქტატის ტრადიციულ გააზრებაში არ არსებობს ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ჯგუფები, დიქტატის თანამედროვე ვერსიაში ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ჯგუფები არსებობს, თუმცა ისინი ნაკლებად ან არაეფექტურია, სათანადოდ ვერ თანამონაწილეობენ დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ძალაუფლების მართვაში. ხელისუფლების მიმართ ზეგავლენა არსაკმარისია, რაც ძალაუფლებას ფაქტობრივად ერთმმართველს ხდის. ამგვარი დიქტატის ფორმა ვარიაციული, ტრანსფორმირებადი დიქტატის სახით არის წარმოდგენილი.
4. 2012 წლის შემდგომ, ოპოზიციის პოლიტიკური თეორიები ძალაუფლების კონსტრუირების კუთხით არსებითად წარუმატებელია, ვერ ხერხდება ხელისუფლების დემოკრატიული ცვლილებები ბუნებრივად. პოლიტიკური წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად პათოლოგიური პოლიტიკური თეორიის

ფაქტორი წარმოჩინდება. ოპოზიციური წარუმატებლობების მიზეზები მრავალია, მათ შორის, გაუაზრებელი, ან ვერ შემდგარი, ან დიქტომიური პოლიტიკური ფილოსოფია, რაზეც შენდება წინააღმდეგობრივი ბრძოლის არაკვალიფიციური მეთოდები ან განხორციელება. ოპოზიციური ჯგუფები ფორმალურად მიმართავენ ჯინ შარპისეულ, დიქტატის საწინააღმდეგო, მშვიდობიან და არაძალადობრივი ბრძოლის ხერხებს, მაგრამ ეს მეთოდები რიტუალური და სადეკლარაციო ხასიათისაა და არა იდეოლოგიზებული ან ორგანული, პოლიტიკური ფილოსოფიიდან დაბადებული, რაც ძალისხმევას არაკონცეპტუალურს და არასაკმარისად შედეგიანს ხდის. პოლიტიკური ფილოსოფიის დისკურსისგან ამოგლეჯილი, არაკონტექსტუალური მიზნები სტრატეგიული დაგეგმვის სისუსტეებს ავლენს, თანამედროვე სამომხმარებლო გარემოში რეალპოლიტიკის ცნებების გაუაზრებლობა უცნობს ხდის ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფებისათვის ამომრჩევლის გაცნობიერებას სამომხმარებლო გარემოს ფონზე. შესაბამისად, ოპოზიციის პოლიტიკური თეორია და იდეოლოგიური დისკურსები მხოლოდ რიტუალურ ფორმას ატარებს, ის ბუნებით უკუკავშირულია და ემოციურ იმპულსებზე აგებული, არ არის შესწავლილი თანამედროვე მოქალაქის, სახელმწიფოს და ა.შ. პოლიტიკური ბუნება და პოლიტიკური ქცევის ფენომენები.

5. ოპოზიცია თავისი ეგზისტენციალური შეტყობინებების კონცეფციაში ვერ ახერხებს პოლიტიკური სიტუაციის ცვლილების საჭიროებისა და შინაარსის ვერც შექმნას, ვერც ჩვენებასა და მოკავშირეების გამრავლებას საკმარისად. პოლიტიკური თეორიის დისკურსში მონაწილე პირები უფრო მეტად სახელისუფლებო პოლიტიკური ველის იდენტობის ველში იმყოფებიან.

6. პოლიტიკის როლი 2023 წლისთვის დაკნინებულია. ეს კი ტოტალიტარიზმის ჩამოყალიბების წინაპირობებს ქმნის (თომას მ. მაგშტადტი). პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის ახსნა ტოტალიტარიზმის პოლიტიკურ-იდეოლოგიური დისკურსული პრაქტიკების ანალიზით ხდება შესაძლებელი. თანამედროვე საქართველოს დიქტატის ვარიაციის გააზრება ჯინ შარპის გარდა, ჰანნა არენდტის პოლიტიკური თეორიებით ხერხდება, რომლის მიხედვითაც ვლინდება 2023 წლის საქართველოსათვის ხელისუფლებაზე ზეგავლენის სიმცირე და პოლიტიკური ხელისუფლების მიდრეკილება, არ დაექვემდებარონ არანაირ შეზღუდვას, რაც დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფლებებს ახასიათებთ. ჩნდება ორიენტირება ისეთ პოლიტიკურ ლიდერზე, რომელიც არ წარმოადგენს უფლებამოსილ, სახელისუფლებო შტოს. სახეზე გვაქვს ავტოკრატიაზე ფოკუსირება კონკურენტული ავტოკრატიაში ფორმით, თუმცა, პარადოქსულად, რამდენადაც ავტოკრატული ლიდერი სამართლებრივად არ წარმართავს ხელისუფლებას.
7. იკვეთება ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელი აუცილებელი კომპონენტი - საყოველთაო კონტროლის მექანიზმი. საყოველთაო კონტროლის დისკურსში ვლინდება როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების შტოები, ასევე საკანონმდებლო ძალისხმევა, მედია პროპაგანდა და სახელისუფლებო სამოქალაქო ჯგუფები, ხოლო სამოქალაქო სივრცეში სპეციალური ჯგუფები, რომლებიც სახელისუფლებო ინტერესებს წარმოადგენენ, ხშირად გვევლინებიან დესტრუქციული, დამაპირისპირებელი და აგრესიული ფორმებით.
- ტოტალიტარიზმის სწრაფვის კონტექსტში, ვლინდება ტოტალიტარიზმის დამახასიათებელი სხვა ძირითადი პირობებიც, როგორებიცაა - ტოტალიტარული ლიდერი (საყოველთაო კონტროლის კონცეფციით), „მტრების“ კონცეფციით და სხვა.

8. პოლიტიკური თეორიის ტოტალიტარულ პოლიტიკურ-იდეოლოგიური დისკურსი აღრმავებს პრობლემას, რომელსაც წარმოადგენს პოლიტიკური იდეოლოგიის ხელოვნური და ძალადობრივი მოხვევა. თუმცა, ამავდროულად, ჩნდება ტოტალიტარიზმის მოთხოვნის ბუნებითი და ნებელობითი სწრაფვა. ამ მხრივ, 2023 წლისთვის წარმოჩენილია პოლიტიკური თეოლოგიის დისკურსული პრაქტიკები. ძალაუფლების ბუნების შესწავლისას, ამერიკულ მაგალითზე ძალაუფლების ელიტების კონცეფციისგან თვისობრივად განსხვავდება ქართული მოდელი (ჩარლზ რაით მილსის ძალაუფალი ელიტების კონტექსტი), სადაც საქართველოში ძალაუფალი ელიტის სახეობად წარმოდგება საეკლესიო ხელისუფლება. სახეზე გვაქვს პოლიტიკურ ძალაუფლებაში ძალაუფლების ტრანსფერაცია მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ერთ-ერთი ძალაუფლებითი ცენტრის და პატრიარქის, როგორც ლიდერის, პოლიტიკურ-თეოლოგიური პროექტის როლი. მილსისეული ძალაუფლების სამკუთხედის ფარგლებში საეკლესიო ხელისუფლება მნიშვნელოვნად ითავსებს სხვა ძალაუფლებითი ცენტრების შრეებს, როგორც არის სამხედრო ძალაუფლება, ნაწილობრივ პოლიტიკური და ნაწილობრივ ეკონომიკური ძალაუფლებები.
9. საეკლესიო ელიტის ძალაუფლება გამოვლინდა საეკლესიო ელიტის გავლენის მუდმივობით, რომელიც დაფუძნებულია მმართველობაში ისტორიული კონტექსტითაც (აშშ-სგან განსხვავებით, სადაც მსგავსი არ შეინიშნება და სამოქალაქო გავლენის მაღალი შესაძლებლობები ძალაუფლებაზე მილსისგან ამით აიხსნება), საეკლესიო ელიტის ინსტიტუციური და წარმომადგენლობითი მდგრადობით. ასევე საეკლესიო ავტორიტეტითა და საქართველოში სარწმუნოებრივი მნიშვნელოვანი მონოპოლიით.

10. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამალაუფლებო რესურსული ფაქტორები, გარდა ბიზნესის სექტორში რესურსების, პოლიტიკურ და სამხედრო სექტორებში ზეგავლენითი რესურსებისა, კონცეპტუალიზებულია სამომხმარებლო სივრცეში რესურსებითა და ორგანიზაციული სისტემის მდიდარი არქიტექტონიკით, დახვეწილი და ფართო ფილიალიზმითა და სამოქალაქო წვდომის მაღალი მაჩვენებლით.
11. საეკლესიო და საერო ძალაუფლებების ურთიერთმიმართება, ერთი მხრივ, კონფლიქტურია, მეორე მხრივ, პარადოქსულად მოკავშირეობითი. კვლევა აჩვენებს, რომ წლების განმავლობაში, განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან დღემდე, (2023 წლისთვის) საეკლესიო და საერო ელიტები საკუთარი და ერთმანეთის წილი ძალაუფლებისათვისაც ურთიერთბრძოლის პერმანენტულ რეჟიმში იმყოფებიან, თუმცა, ამავდროულად, პარტნიორობენ ერთმანეთს, ცდილობენ რა, შექმნან სამალაუფლებო ოლიგოპოლია ძალაუფლების ერთგვარი სიმბიოზის სახით. საეკლესიო და საერო ძალაუფლებები იბრძვიან ერთმანეთის შესასუსტებლად, შეუთანხმებლობის შემთხვევაში იმუშაონ ერთმანეთის წინააღმდეგ - საერო ძალაუფლება ცდილობს ზემოქმედებას საეკლესიოზე საეკლესიო ელიტაში სასურველი პერსონების ჩანაცვლების მოტივაციით და პირიქით, საეკლესიო ხელისუფლება, თავის საჭიროების შემთხვევაში, მუშაობს საერო ელიტების ჩანაცვლების ხელშეწყობაზე ან გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებზეც სასურველ ზეგავლენას ვერ ამყარებენ. ამ მხრივ, საერო და საეკლესიო ელიტები ხშირად ერთიანდებიან კიდევ სხვა ძალაუფლებითი ან ზეგავლენითი ცენტრების ხელის შეშლისა და შევიწროების მიზნით. ზოგ შემთხვევაში, ამგვარი შეთანხმებით, საეკლესიო და სახელისუფლებო ძალაუფლებები ერთმანეთის

ურთიერთგამაძლიერებლად გამოდიან და საერთო პოლიტიკურ დისკურსებს ქმნიან.

12. 2023 წლისთვის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას, უმთავრესად, „უხილავი ძალაუფლების“ ფორმით წარმართავენ საეკლესიო და საერო ძალაუფლების ლიდერები. ამ რანგში წარმოდგენილია საეკლესიო ძალაუფლების სახით პატრიარქი ილია მეორე, ხოლო საერო ძალაუფლების სახით - მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, ყოფილი პრემიერ მინისტრი და პარტიის თავმჯდომარე, ზიძინა ივანიშვილი. უხილავი ძალაუფლება წარმოდგება პოლიტიკური ძალაუფლების წარმართვის „ჩრდილოვანი მმართველობის“ ფორმით. საეკლესიო ხელისუფლებას წარმართავს კონსერვატიული პოლიტიკური დისკურსი, რომელიც 2023 წლისთვის, დეკლარირებულად, ტანდემში მოდის სახელისუფლებო დისკურსთან, რის მწარმოებლადაც პოლიტიკური ხელისუფლების დისკურსი გვევლინება.
13. 2023 წლისთვის ძალაუფლების კონსტრუირების პრინციპი აგებულია ასევე ნაციონალიზმის თეორიულ პოლიტიკურ დისკურსზე, სადაც ეგზისტენციალური ინფორმაციის ფუნქციას იძენს „ერის“ ცნება. „ქართველობის“ ნაციონალიზმის თემა საეკლესიო და საერო სახელისუფლებო დისკურსებში წარმოდგენილია, როგორც თვითკმარი სუვერენული ძალა, რომელსაც მისტიკური ბუნება გააჩნია. ასეთი დისკურსების მაგალითებია „ღვთისმშობლის წილხვდომილობის“ დისკურსი, „საქართველოს სუვერენულობის სწრაფვის“ დისკურსი და ა.შ. საერო ხელისუფლება, საეკლესიო ძალაუფლების კვალდაკვალ, ქმნის თავის ტრანსცენდენტურობის დისკურსს, რომელიც ტოტალიტარიზმისკენ, როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებითი სწრაფვის პოლიტიკური თეორიის შინაარსობრივ ცნებებს იძენს.



14. 2000-2023 წლების საქართველოში, განსაკუთრებით 2023 წლისთვის, საქართველოში ტოტალიტარიზმის კერები და ტოტალიტარობისკენ სწრაფვა აქტიურია იმ საზრისით, რაც თანამედროვე ტოტალიტარიზმის შინაარსის მსჯელობისას სხვადასხვა თეორეტიკოსის, პოლიტიკური ფილოსოფოსის და პოლიტიკური თეოლოგების შეხედულებებშია წარმოდგენილი. 2023 წლისთვის, საერო და სასულიერო ძალაუფლებების ტანდემური პოლიტიკური თეორია ემყარება განახლებული შეფუთვისა და ფორმის, ძველი ტიპის ტოტალიტარულ სივრცეში დაბრუნების ძალისხმევას.
15. თანამედროვე ქართული ტოტალიტარიზმის პოლიტიკურ თეორიას დისკურსულ პრაქტიკებად წარმოდგენილი აქვს „შიშისა“ და მხსნელის დისკურსები, სადაც თემატური სახესხვაობებით თანაბრად ვლინდება „უხილავი ძალაუფლების“ პოლიტიკური ქცევების მოტივაციურობა. სასულიერო ძალაუფლების ლიდერი წარმოდგენილია ტოტალიტარული ლიდერისათვის დამახასიათებელი ბელადისეული ცნებებით - მხსნელობისა და სასწაულთმოქმედების უნარებით; ღმერთის მოციქულობით, როგორც ფაქტით; უნივერსალური კომპეტენციით; სრული სანდოობით; გამაერთიანებლის სიმბოლურობით; კრიტიკის მიუღებლობითა და კრიტიკის მიღმიერობით; ამავედროულად, შიშის კონცეფციით, იქნება ეს ტრანსცენდენტურობით გამოწვეული თუ მასთან ერთად, საზოგადოებრივი მართობისა და იზოლაციონალიზმის შიშებით, რომელიც ფიზიკურ-მორალური ზეწოლის შესაძლებლობით პროგნოზირდება.
16. ტოტალიტარული ტიპის ლიდერი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას პოლიტიკური ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი პირდაპირი მექანიზმები, ვთქვათ, ძალოვანების, მთავრობის ზოგადად ან პარლამენტის მართვის უფლებამოსილება, გააზრებულია, როგორც თანამედროვე დემოკრატიულ ან მრწამსობრივ ფასადში

ტრანსფორმირებული ტოტალიტარიზმისკენ მსწრაფი ავტოკრატიული შინაარსის ლიდერი, რომელშიც ჩნდება ბელადური ცნებებიც, თუმცა, შესაძლოა არა თვითკმარი ფორმით, პატრიარქის შემთხვევაში, ეს არათვითკმარობა გამოხატულია მისი სტატუსით (პატრიარქობის სიმბოლურ-რწმენობრივი ასპექტი), ტრანსცენდენტური ლიდერობის რესურსი, ხოლო საერო ხელისუფლების წარმმართველ ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში, ფინანსური რესურსებისა და არსებული ძალაუფლების რესურსებით.

17. ტოტალიტარიზმისკენ სწრაფვის თავსმოხვეული ხელოვნური ძალისხმევის გარდა, ვლინდება ავტორიტარიზმისკენ სწრაფვის ბუნებითი ფორმაცია, რომელიც გამოვლენილია საზოგადოების-ადამიანების იდეოლოგიური ფაქტორითა და ცნობიერების, თვითკმარი ძალის ნების სისუსტით. ეს, ერთი მხრივ, გამოხატულია ისტორიული გენეტიკის მეხსიერებითაც (თავისუფლებისა და დემოკრატიის არარსებობა ქართველი ხალხის - საქართველოს მოსახლეობისა და სახელმწიფოს ისტორიის განმავლობაში, იგულისხმება საუკუნეების განმავლობაში მონარქიული წყობა, ხშირი ოკუპაცია, ბოლოს რუსული ოკუპაცია და საბჭოთა დიქტატურა და ა.შ.). ამის გათვალისწინებით, იკვეთება კანტისეული მდგენელი, ადამიანის არასრულყოფილების თვითგანცდის მდგენელი თანამედროვე საქართველოს საზოგადოებაშიც. არასრულყოფილება საკუთარი განსჯის უუნარობითა და განსჯითი ოპერირების უუნარობით არის წარმოდგენილი თანამედროვე საზოგადოების ცნობიერებაში, რის გამოც სხვის ჩაურევლად გადაწყვეტილებების მიღება ზედმეტად ჭირს. საკუთარი პასუხისმგებლობების უქონლობა-უუნარობა ავსებს გარეშე ძალების პოლიტიკური თეორიებით წარმოებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური დისკურსები. იგულისხმება საერო და საეკლესიო ძალაუფლებების

ავტორიტეტები „უხილავი ძალაუფლების“ ლიდერების სახით.

სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლების, პასუხისმგებლობის უსურვილობა თუ თავდაუხუჯრებლობა, ან გაუბედაობა, ან სამივე ერთად, ქმნის ბელადის მიების გარემოებას, რაც ავტორიტარიზმისკენ სწრაფვის ბუნებით მიდრეკილებას ადასტურებს.

18. ზღვარგამყოფ ეტაპად კვლევაში ჩართული ექსპერტები ასახელებენ პატრიარქ ილია მეორის შემდგომ ეპოქას, რადროსაც ახალ პატრიარქს მსგავსი ნდობა და ავტორიტეტი არ ექნება. პოსტპატრიარქისეული ეპოქა გახდება ერთგვარი ვაკუუმის პერიოდი, რომელსაც წარმოშობს, ერთი მხრივ, პოლიტიკური სპექტრისადმი დაბალი სამოქალაქო ნებელობითი მხარდაჭერა, მეორე მხრივ, ახალი პატრიარქისადმი შეცმირებული ავტორიტარობის აღქმა.
19. 2023 წლისთვის ვლინდება პოსტპატრიარქისეული ეპოქისათვის მზადება „უხილავი ძალაუფლების“ წარმმართველი „ჩრდილოვანი მმართველისათვის“ გავლენასა და სამალაუფლებო სივრცეზე, ტოტალიტარ ლიდერად მონოპოლიზაციის წინაპირობების შექმნა. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური თეორიის საფუძველი ხელისუფლების და ხელისუფლების წარმმართველი ლიდერის - ბიძინა ივანიშვილის „სიკეთის“, „სუვერენობის“, „მზრუნველი მამის“ და ა.შ. იდეოლოგიზაცია, ტოტალიტარი ლიდერისათვის ტრანსცენდენტური კატეგორიების შექმნით და პოლიტიკური ფილოსოფიის იდეოლოგიური დისკურსების შექმნით.

## რეკომენდაციები

ნაშრომის „ძალაუფლების კონსტრუირების პრინციპები 2000-იანების შემდგომ საქართველოში“, განხორციელებული კვლევების და ანალიზის შედეგად გამოვლენილი საკითხები გულისხმობს დემოკრატიზაციის, სამოქალაქო თავისუფლებებისა და პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალაუფლების განვითარების საჭიროებას.

მნიშვნელოვანი ხდება XXI საუკუნისათვის დასავლური ინტეგრაციის კონტექსტში არსებული სტანდარტების მიღწევის გზების დასაგეგმად ძალაუფლების შეზღუდვის, გამიჯვნის და „უხილავი ძალაუფლების“ ნაცვლად, ლეგიტიმური პოლიტიკური ცენტრების არსებობის მიღწევა.

მნიშვნელოვანია არასახელისუფლებო ოპოზიციურ ძალებში მოხერხდეს პოლიტიკურ პლურალიზმში კონსენსუსის მოძიება და შესაბამისი პოლიტიკური ფილოსოფიის თეორიული ფუნდამენტის შექმნა, სადაც ერთი მხრივ, დაცული იქნება ერის იდენტობის, ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზუსტი იდეოლოგიური დისკურსები, მეორე მხრივ, ფართო სამოქალაქო უფლებების, მრავალფეროვანი იდენტობის და სრულუფლებიანი თანაცხოვრებისათვის საჭირო სოციალურ-პოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბება იდეოლოგიურ ველზე, სადაც იდეოლოგია ადამიანების იზოლირებისა და დათრგუნვის საშუალება კი არა, ინსტრუმენტული მრავალფეროვნება იქნება. ამ მხრივ, ასევე რეკომენდებულია პროცესში ჩართული იყოს პოლიტოლოგთა და სხვა დარგობრივ სპეციალისტთა ფართო სპექტრი.

მნიშვნელოვანია ინტელექტუალური წრეების, აზრთა ლიდერების მხარდაჭერით სამოქალაქო თავდაჯერებულობის, ადამიანებში შინაგანი რწმენისა და პასუხისმგებლობების უნარის მიღწევა-გამძიერება, რომელიც თავისუფლების უზრუნველყოფის ფუნდამენტია, რის გარეშეც სახელმწიფოში კვლავ დარჩება ტოტალიტარიზმისკენ ხელოვნური და

ბუნებითი სწრაფვაც, ერთგვარი პოლიტიკური დაკვეთაც „მზრუნველი მამის“ ნებისა და ცენტრალიზაციისა, პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან კი კვლავ ავტოკრატიზმისკენ, დიქტატისა და ტოტალიტარიზმის ძალისხმევა.

ძალაუფლების ლეგიტიმაციის პოლიტიკურ თეოლოგიური პრინციპი ყველა საზოგადოებას ახასიათებს ათეისტური საზოგადოების ჩათვლით. ოღონდ სამყაროსა და პოლიტიკური ძალაუფლების წყაროდ ღმერთის ნაცვლად ბელადი გამოდის. ამ მხრივ, მომავალი ხელისუფლებ(ებ)ის და გავლენიანი პოლიტიკური წარმომადგენლობების მიერ სასურველია, შემცირდეს პოლიტიკურ ძალაუფლებაში პოლიტიკურ-თეოლოგიური პროექტებით ზედმეტად გაჯერება და საერთო კეთილდღეობის წინააღმდეგ არასასურველი ზეგავლენა, რაც სახელმწიფოსაც, ადამიანებსაც და მათ შორის, სარწმუნოებრივ მენტალობას ტოტალიტარიზმის მორევში ატრიალებს, სამაგიეროდ, უნდა გაძლიერდეს არასახელისუფლებო ცენტრების პლურალისტული ზეგავლენა ხელისუფლებაზე და სამოქალაქო ძალაუფლების შეგრძნება.

აუცილებელია ფართო განმანათლებლობითი საქმიანობა დასახული რეკომენდაციების შესასრულებლად, რაშიც ფართოდ უნდა ჩაერთოს თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოება, სამოქალაქო და პოლიტიკური სპექტრი, სასკოლო და უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცეები, საზოგადოებრივი ავტორიტეტები და ინტელექტუალები, რათა მოხერხდეს ისეთი იდეალების მოძიება, სადაც სახელმწიფოში ადამიანების ეთნო-კულტურულ-რელიგიურ იდენტობას დეზინტეგრაციის და შეფერხების ფაქტორებად კი არ გამოვლინდება, არამედ განვითარების და ეროვნული ინტელექტის სიმდიდრედ და რესურსად წარმოაჩენს.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა და გამოკვეთილი საკითხების მეცნიერული ანალიზი საშუალებას ქმნის ნათლად გავიაზროთ ძალაუფლების პარადიგმა 2000-იანი წლებიდან დღემდე, გავაცნობიეროთ სახელმწიფოებრივი მიზნები და

ამოცანები. სამომავლო ქმედებისთვის შესაბამისი სტრატეგიები და სტრატეგიული ამოცანები, კვლევის შედეგად გამოკვეთილი ძალაუფლებრივი ელიტების, მისი სეგმენტების, ძალაუფლების ტენდენციის და სამოქალაქო უკუკავშირის, პოლიტიკური ჯგუფების განვითარებისათვის, საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებული პიროვნების თავისუფლების, დემოკრატიული სახელმწიფოს და სეკულარიზმის პრინციპები განვავითაროთ.

ნაშრომი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს კონტექსტში, არამედ პოსტკოტალიტარული სახელმწიფოების, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების, ჰიბრიდული დემოკრატიების მქონე ავტორიტარული სახელმწიფოების განვითარების, დემოკრატიის მიღწევის და მსოფლიო ცივილიზებული სახელმწიფოების თანამეგობრობის ინტეგრაციის მქონე საზოგადოებების და სახელმწიფოებისათვის.

ნაშრომი ასევე საინტერესო იქნება განვითარებული დემოკრატიის სახელმწიფოების პოლიტიკური ფილოსოფიის, პოლიტიკური დისციპლინების სპეციალისტებისათვის განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკური ფენომენების შესასწავლად.

Archil Gamzardia

With the right of manuscript

Principles of building power in Georgia after the 2000s

Educational program: Political Philosophy

Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

Abstract

Tbilisi

2024

Grigol Robakidze University

Thesis supervisor: Mikhel Gogatishvili,  
Doctor of Philosophy, Professor

Thesis defense date will be published on the University webpage:  
[www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)

Thesis will be defended at the session of the Attestation-Expert  
Committee of School of Humanities and Social Sciences, Grigol  
Robakidze University

Thesis is available for review in the library of Grigol Robakidze  
University (3, Irina Enukidze Street, Tbilisi)



## Table of contents

Introduction .....	33
> Research problems and relevance/importance of its research .....	34
> The purpose and objectives of the research .....	35
> Hypothesis .....	36
A brief review of scientific literature and the theoretical context of the study .....	36
Research methodology and description .....	37
Research results .....	38
Judgment and scientific findings .....	40
Conclusion and recommendations .....	43

## **Introduction**

### **Research problems and relevance/importance of its research**

This doctoral research studies the principles of power construction of Georgia as a post-totalitarian-post-Soviet country in the period after the 2000s - the quality, content, modification and perspectives of fundamental concepts of power, in the context when the government of the state is evaluated as a hybrid democratic regime and has declared integration in the North Atlantic space.

Against this background, it becomes important to study and reanalyze the architecture of the construction of existing power and preconditions for power, to study the phenomena of political behavior and to determine the ideological constructs of the theories of political philosophy, political-theological analysis in the process of construction of power.

